

## მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობები

(მოქმედებს 21.08.2020 წ.-დან)

### I. ზოგადი პირობები

1. მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების მოცემული პირობები წარმოადგენს სამგზავრო ბილეთის განუყოფელ ნაწილს.

2. წინამდებარე ხელშეკრულება ნიშნავს, რომ გადამზიდავი ვალდებულებას იღებს, მოახდინოს მგზავრისა და მისი კაიუტაში არსებული ბარგის დანიშნულების ადგილას ტრანსპორტირება, ხოლო მგზავრი ვალდებულებას იღებს გადაიხადოს მგზავრობის დადგენილი საზღაური და ბარგის გადატანის საზღაური ქვემოთ აღნიშნული პირობებით.

3. მგზავრობა მოიცავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მგზავრი და/ან მისი კაიუტაში არსებული ბარგი იმყოფება გემზე, პერიოდს ჩაჯდომიდან გემიდან ჩამოსვლამდე და პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ხდება მგზავრისა და მისი კაიუტაში არსებული ბარგის საწყლოსნო გზით ნაპირიდან გემზე ტრანსპორტირება ან პირიქით, როდესაც ასეთი ტრანსფერის ღირებულება შედის ბილეთის ღირებულებაში ან როდესაც ამ დამხმარე ტრანსპორტირებისთვის გამოყენებული გემი გადამზიდავის მიერ გადაცემული იყო მგზავრის განკარგულებაში. თუმცა მგზავრთან მიმართებაში ტრანსპორტირება არ მოიცავს პერიოდს, რომლის განმავლობაშიც იგი იმყოფება საზღვაო სადგურში, ნავმისადგომში ან სხვა ნებისმიერ საპორტო ნაგებობაში.

4. სხვა ბარგის ტრანსპორტირება, რომელიც არ წარმოადგენს კაიუტაში არსებულ ბარგს, მოიცავს პერიოდს, როდესაც მისი მიღება ხდება გადამზიდავის, მისი თანამშრომლის ან აგენტის მიერ ნაპირზე ან გემზე, გადამზიდავის, მისი თანამშრომლის ან აგენტის მიერ მისი გაცემის მომენტამდე.

5. წინამდებარე ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები ნიშნავს:

„გადამზიდავი“ ნიშნავს პირს, რომლის მიერაც ან რომლის სახელითაც დადებულია ტრანსპორტირების ხელშეკრულება, მიუხედავად იმისა, ხორციელდება თუ არა ფაქტიური ტრანსპორტირება მის ან შემცვლელი გადამზიდავის მიერ;

„შემცვლელი გადამზიდავი“ ნიშნავს გადამზიდავისგან განსხვავებულ პირს, რომელიც წარმოადგენს რა გემის მფლობელს, მეფრახტეს ან ოპერატორს, ფაქტიურად ახორციელებს ყველა გადაზიდვას ან მის ნაწილს;

„ხელშეკრულება“ ნიშნავს გადამზიდავის მიერ ან მისი სახელით დადებულ მგზავრის ან, შესაბამის შემთხვევაში, მგზავრის და მისი ტვირთის ტრანსპორტირების ხელშეკრულებას;

„მგზავრი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომლის ტრანსპორტირებაც ხდება გემით: ა) ტრანსპორტირების ხელშეკრულებით ან ბ) გადამზიდავის თანხმობით ავტომანქანის ან ცოცხალი ცხოველების თანხლება, რომლებიც წარმოადგენენ ტვირთების გადაზიდვის ხელშეკრულების საგანს, არ რეგულირდება ათენის 1974 წლის კონვენციით მგზავრებისა და მათი ტვირთის საზღვაო ტრანსპორტირების შესახებ;

„ტვირთი“ ნიშნავს ნებისმიერ საგანს ან ავტომანქანას, რომლის გადაზიდვაც ხდება გადამზიდავის მიერ გადაზიდვის ხელშეკრულების მიხედვით, გარდა: ა) საფრახტო ხელშეკრულებით, კონოსამენტით ან სხვა ხელშეკრულებით გადასაზიდი ნივთების ან ავტომანქანებისა, რომელიც ძირითადად ტვირთების გადაზიდვას ეხება; ბ) ცოცხალი ცხოველებისა;

„კაიუტაში არსებული ტვირთი“ ნიშნავს ტვირთს, რომელიც მგზავრის კაიუტაშია ან სხვაგვარად იმყოფება მის მფლობელობაში, მისი დაცვის ან კონტროლის ქვეშ;

„საერთაშორისო გადაზიდვა“ ნიშნავს ნებისმიერ გადაზიდვას, რომლის დროსაც გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად გამგზავრების ადგილი და დანიშნულების ადგილი მდებარეობს ორ სხვადასხვა სახელმწიფოში ან ერთ სახელმწიფოში, თუ გადაზიდვის ხელშეკრულების თანახმად ან გათვალისწინებული რეისით შესვლის შუალედური პორტი სხვა სახელმწიფოშია.

## II. სამგზავრო ბილეთი.

6. მგზავრის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების დადების და საფასურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს გადამზიდავის მიერ გაცემული ბილეთი.

7. გემის მფლობელის სამგზავრო ბილეთი სტანდარტული ფორმით და შინაარსით არ ექვემდებარება ცვლილებებს და/ან დამატებებს.

8. სამგზავრო ბილეთი მოქმედებს იმ რეისზე და იმ გემზე, რომელიც ბილეთშია აღნიშნული.

9. სამგზავრო ბილეთი არ ექვემდებარება იმ პირებზე გადაცემას, რომლებიც არ არიან აღნიშნულნი ბილეთში. ბილეთის სხვა პირის მიერ წარდგენის შემთხვევაში ბილეთი უქმდება და არ ხდება მისი ღირებულების უკან დაბრუნება.

## II. ტარიფები.

10. მგზავრობის საფასურის გადახდა ხდება მგზავრებისა და ტვირთების ტრანსპორტირების მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

11. მგზავრობის საფასური მოიცავს გემზე მგზავრის სამჯერად კვებას.

12. ერთი მიმართულებით მგზავრობის საფასურის გადახდისას, მგზავრი ვალდებულია გემი დატოვოს დანიშნულების პორტში გემის შესვლიდან ერთი საათის შემდეგ.

13. გამგზავრების / დანიშნულების პორტში მგზავრთა ჩასხდომისა და გადმოსვლის საფასურს მგზავრი იხდის ცალკე ამ პორტებში მოქმედი განაკვეთების შესაბამისად, ან თუ იგი შედის ბილეთის ფასში, მოქმედი ტარიფების თანახმად.

## V. ბარგი.

14. თითოეულ მგზავრს, რომელსაც ცალკე ადგილი უკავია, აქვს 100 კგ ან 0,5 კუბური მეტრი კაიუტაში არსებული ბარგის (ხელბარგის) უფასოდ გადატანის უფლება. დადგენილ ნორმაზე მეტი ბარგის (ხელბარგის) გადაზიდვისთვის იბეგრება - 50 აშშ დოლარით / 0,5 კუბურ მეტრზე. გადამზიდავისთვის ბარგის ჩაბარება ბარგის ქვითრით დასტურდება.

15. ბარგი არ უნდა შეიცავდეს იმპორტ / ექსპორტზე აკრძალულ საქონელს, ძლიერი სუნის მქონე, ადვილად აალებად, ფეთქებადსაშიშ, რადიოაქტიურ, კოროზიულ, შხამიან ნივთიერებებს, ინფექციურ მასალებს (ბაქტერიებს, ვირუსულ კულტურებს) ან სხვა ნივთიერებებს, რომლებიც თავისი ბუნებით შეიძლება საშიში იყოს გემის, ტვირთის, ეკიპაჟისა და მგზავრებისთვის.

16. მგზავრი გარანტიას იძლევა, რომ ბარგში და/ან სატრანსპორტო საშუალებაში (მსუბუქ ავტომობილში, მისაბმელში, სატვირთო ავტომობილში, ტრაილერში, კონტეინერში და ა.შ.), რომელსაც ის ხელმძღვანელობს ან თან ახლავს, და რომლის ტრანსპორტირებაც იგეგმება გემით, არ არის იარაღი, კონტრაბანდა, ნარკოტიკები, სხვა არალეგალური ნივთიერებები ან უბილეთო მგზავრები, ხოლო ბარგი და/ან სატრანსპორტო საშუალება არ მიაყენებს ზიანს, დაზიანებას ან დამატებით ხარჯებს გადამზიდავს, გემს, ნებისმიერ სხვა ბარგს ან ტვირთს ტრანსპორტირების დროს.

17. ბარგის დაკარგვის ან დაზიანების შესახებ მგზავრმა უნდა გაუგზავნოს წერილობითი შეტყობინება გადამზიდავს ან მის აგენტს: ა) კაიუტაში არსებული ბარგის აშკარა დაზიანების შემთხვევაში - მგზავრების გადმოსვლის წინ ან მომენტში;

ბ) სხვა ბარგის აშკარა დაზიანების შემთხვევაში - მისი გაცემის დაწყებამდე ან მომენტში; გ) ბარგის დაკარგვის ან ბარგის დაზიანების შემთხვევაში, რაც არ არის აშკარა - მგზავრთა გადმოსვლის მომენტიდან ორმოცდარვა (48) საათის განმავლობაში. მგზავრის მიერ ამ მუხლის მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში ითვლება, რომ მგზავრმა ხელუხლებლად მიიღო ბარგი, თუ სხვა რამ არ არის დამტკიცებული. წერილობითი შეტყობინება არ არის საჭირო, თუ ბარგის მდგომარეობა დადგენილია ერთობლივად ან შემოწმებულია მისი მიღების მომენტში.

V. მგზავრის უარი ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე.

18. მგზავრს უფლება აქვს გემის გამგზავრებამდე და რეისის დაწყების შემდეგ ნებისმიერ დროს - ნებისმიერ ნავსადგურში, სადაც ხომალდი შევა მგზავრების ასაყვანად ან ჩამოსასმელად, უარი თქვას საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე.

19. მგზავრს, რომელმაც შეატყობინა გადამზიდავს ტრანსპორტირებაზე უარის შესახებ, უფლება აქვს დაიბრუნოს მგზავრობისა და ბარგის ტრანსპორტირების საფასური შემდეგი ოდენობით:

- იმ შემთხვევაში თუ ბილეთის დაბრუნება ხდება ჩასხდომის პორტიდან გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 14 დღით ადრე, ან, თუ ავადმყოფობის გამო მგზავრი არ გამოცხადდა გემის გამგზავრებამდე, ან იმავე მიზეზით უარი თქვა მგზავრობაზე, შესაბამისი დოკუმენტის წარდგენით, ან გადამზიდავზე დამოკიდებული მიზეზებით, მას ბილეთის ღირებულების 100% უბრუნდება.

- ჩასხდომის პორტიდან გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 7 დღით ადრე ბილეთის დაბრუნების შემთხვევაში, ბრუნდება ბილეთის ღირებულების 70%.

- ჩასხდომის პორტიდან გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე ბილეთის დაბრუნების შემთხვევაში, ბრუნდება ბილეთის ღირებულების 50%.

- ჩასხდომის პორტიდან გემის გამგზავრებამდე არანაკლებ 3 დღეზე ადრე ბილეთის დაბრუნების შემთხვევაში, ბილეთის ღირებულება არ ბრუნდება.

20. ბილეთის საფასურის 100% დაბრუნება შესაძლებელია, გადამზიდავის შეხედულებისამებრ, მიუხედავად მისი დაბრუნების დროისა, თუ დაბრუნება გამოწვეულია მგზავრისგან დამოუკიდებელი და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული გარემოებებით.

21. მგზავრს გემის გამგზავრებამდე ნებისმიერ დროს აქვს უფლება შეცვალოს საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების მოქმედების დაწყების თარიღი, დამატებითი მოსაკრებლის ანაზღაურებით შემდეგ ოდენობებში:

- საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების მოქმედების დაწყების თარიღის შეცვლა (შემდგომში ტექსტში - „ბილეთის გადატანა“) უფასოა ჩასხდომის პორტიდან გემის დაგეგმილ გასვლამდე არანაკლებ 14 დღით ადრე;
- გემის დაგეგმილ გასვლამდე არანაკლებ 7 დღით ადრე ბილეთის გადატანისას, ემატება ბილეთის საფასურის 12,5% ბილეთის გადატანის განხორციელების დღეს;
- გემის დაგეგმილ გამგზავრებამდე არანაკლებ 3 დღით ადრე ბილეთის გადატანისას, ემატება ბილეთის საფასურის 25% ბილეთის გადატანის განხორციელების დღეს;
- ჩასხდომაზე მგზავრების რეგისტრაციის დაწყებამდე 3 დღით ადრე ბილეთის გადატანისას, ემატება ბილეთის ღირებულების 50% ბილეთის გადატანის განხორციელების დღეს;

22. შესაძლებელია ბილეთის გადატანა გადამზიდვის შეხედულებისამებრ, მიუხედავად მოთხოვნის დროისა, თუ გადატანა გამოწვეულია მგზავრისგან დამოუკიდებელი და შესაბამისი დოკუმენტაციით დადასტურებული გარემოებებით.

23. დამკვეთს, რომელმაც აანაზღაურა სამგზავრო ბილეთი, უფლება აქვს გემის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეცვალოს ბილეთში მგზავრი დამატებითი მოსაკრებლის ანაზღაურებით შემდეგ ოდენობებში:

- ბილეთში მგზავრის შეცვლა ჩასხდომის პორტიდან გემის დაგეგმილ გასვლამდე არანაკლებ 14 დღით ადრე - 12,5%;
- ჩასხდომის პორტიდან გემის დაგეგმილ გასვლამდე არანაკლებ 7 დღით ადრე ბილეთში მგზავრის შეცვლისას ემატება ბილეთის საფასურის 25% შეცვლის განხორციელების დღეს;
- ჩასხდომის პორტიდან გემის დაგეგმილ გასვლამდე არანაკლებ 3 დღით ადრე ბილეთში მგზავრის შეცვლისას ემატება ბილეთის საფასურის 50% შეცვლის განხორციელების დღეს;
- გემზე რეგისტრაციის დასრულებამდე 3 დღით ადრე პერიოდში მგზავრის შეცვლისას, ემატება ბილეთის ღირებულების 75% შეცვლის განხორციელების დღეს;

VI. გადამზიდვის უარი ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე.

24. გადამზიდავს უფლება აქვს უარი თქვას მგზავრის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე შემდეგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში: ა) საომარი ან სხვა მოქმედებები, რომელმაც შეიძლება შექმნას გემის, ტვირთის ან მგზავრების დაპყრობის საფრთხე; ბ) გამგზავრების ან დანიშნულების პორტის ბლოკადა; გ) გემის დაპატიმრება ხელისუფლების განკარგულებით, ხელშეკრულების მხარეების კონტროლს დაუქვემდებარებელი მიზეზებით; დ) გემის მოზიდვა სახელმწიფოს სპეციალური საჭიროებებისათვის; ე) ეპიდემია ან კარანტინი.

25. მგზავრის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულება წყდება მხარეების უარის გარეშე შემდეგი გარემოებების დადგომის შემთხვევაში: ა) გემის დაღუპვა ან ძალით დაპყრობა; ბ) გემის ცურვისთვის უვარგისად გამოცხადება.

26. გემის გასვლამდე მგზავრის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების გადამზიდავის ინიციატივით შეწყვეტის შემთხვევაში, მგზავრს უბრუნდება მგზავრობისა და ბარგის ტრანსპორტირების მთელი თანხა, ხოლო თუ ხელშეკრულება შეწყდება რეისის დაწყების შემდეგ - მითითებული საფასურის ნაწილი იმ მანძილის პროპორციულად, რომელზე ტრანსპორტირებაც არ განხორციელებულა.

27. გადამზიდავს უფლება აქვს თავისი შეხედულებისამებრ შეცვალოს ამ სამგზავრო ბილეთში მითითებული გემი სხვა ხომალდით. იმ გემით ჩანაცვლების შემთხვევაში, რომლის მახასიათებლები და კომფორტულობა უფრო დაბალია, ვიდრე ამ სამგზავრო ბილეთში მითითებული გემისა, გადამზიდავი უნაზღაურებს მგზავრს ასეთი გემების სამგზავრო ბილეთების ღირებულების სხვაობას. გადამზიდავს უფლება აქვს გადაიყვანოს მგზავრი გემზე სხვა კაიუტაში ან სათავსში, გადადოს გემის გასვლა, შეცვალოს ტრანსპორტირების მარშრუტი, მგზავრთა ჩასხდომის ან ჩასვლის ადგილი, თუ ასეთი ქმედებები აუცილებელია სტიქიური უბედურებების, არახელსაყრელი ამინდის ან სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური პირობების, აგრეთვე გადამზიდავისგან დამოუკიდებელი სხვა მოვლენების შედეგად, რომლებიც შეუძლებელს ხდის მგზავრის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების შესრულებას. გადამზიდავი პასუხს არ აგებს დანიშნულების პორტში გემის შესვლის შესაძლო შეფერხებებზე ფორს-მაჟორული გარემოებების, მათ შორის არახელსაყრელი ამინდის პირობების, აგრეთვე გადამზიდავისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზების შემთხვევაში და ამით გამოწვეული გემის პორტში დგომის დროის შემცირების გამო.

28. გადამზიდავს უფლება აქვს უარი თქვას მგზავრის - ორსული ქალის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში თუ მისი ორსულობის ვადა აღემატება 35 კვირას, ხოლო რამდენიმე ნაყოფის შემთხვევაში - 32 კვირას.

VII. მგზავრის პასუხისმგებლობა.

29. მგზავრი ვალდებულია შეასრულოს გემის შესვლის ნავსადგურების ქვეყანაში დადგენილი საპასპორტო, საბაჟო, სანიტარული და სხვა ფორმალობები, და პასუხისმგებელია ამ ფორმალობების შეუსრულებლობაზე, ისევე როგორც მის მიერ წარდგენილი დოკუმენტების ნამდვილობაზე: პასპორტები, ვიზები, სანიტარული მოწმობა და ხელისუფლების მაკონტრელელებელი ორგანოებისთვის საჭირო სხვა დოკუმენტები დანიშნულების პორტში შესასვლელად. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრს აკრძალული აქვს დანიშნულების ქვეყანაში შესვლა, იგი ვალდებულია გადაიხადოს მისი და ბარგის ან გემზე სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირების საფასური იმ პორტში, სადაც იგი შეიძლება შევიდეს. გადამზიდველს უფლება აქვს გირაოს სახით დაიტოვოს მგზავრის ბარგი ან სატრანსპორტო საშუალება გადამზიდავთან სრულ ანგარიშსწორებამდე, თუ ზემოაღნიშნული საფასური შეტანილი არ არის გემიდან ჩამოსვლის / ბარგის ან სატრანსპორტო საშუალების გადმოტვირთვის მომენტამდე. გადამზიდველს უფლება აქვს უარი თქვას საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულებაზე, მგზავრის უარის შემთხვევაში განახორციელოს უკან გადაზიდვის საფასურის წინასწარ გადახდა, მგზავრების და ბარგის ტრანსპორტირების საზღვაო ხელშეკრულების წინამდებარე პირობების 34-ე პუნქტის შესაბამისად.

30. მგზავრი ვალდებულია დროულად დარეგისტრირდეს რეისზე გადამზიდავის ინსტრუქციების შესაბამისად.

31. მგზავრები ვალდებულნი არიან დაიცვან გემზე გადამზიდავის მიერ დადგენილი წესები, დგომის ქვეყნების ნავსადგურებში მოქმედი კანონები და განკარგულებები, აგრეთვე გემის ადმინისტრაციის განკარგულებები.

32. მგზავრი პასუხისმგებელია და ვალდებულია აუნაზღაუროს გადამზიდავს, გემს, მის აღჭურვილობასა და ქონებას, აგრეთვე სხვა მგზავრებსა და პირებს მიყენებული ზარალი.

33. მგზავრი ვალდებულია აანაზღაუროს ნებისმიერი საპორტო, საბაჟო და სხვა ხელისუფალის მიერ გადამზიდავისთვის მგზავრის უკანონო მოქმედებების გამო დაკისრებული ნებისმიერი სახდელი და ჯარიმა.

34. თუ დანიშნულების ქვეყნის სახელმწიფო ორგანოები უარს ამბობენ მგზავრისთვის ქვეყანაში შესვლის ნებართვის მიცემაზე, მგზავრი ვალდებულია, გადამზიდავის ან სახელმწიფო ორგანოების მოთხოვნით, დაბრუნდეს გამგზავრების პუნქტში ასეთი მგზავრის მიღებაზე დანიშნულების ქვეყნის უართან დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ეს ქვეყანა დანიშნულების ან ტრანზიტის ადგილი, ასევე გადაიხადოს უკან ტრანსპორტირების შესაბამისი ღირებულება. გადამზიდავი უფლებას იტოვებს, მგზავრის გემზე ასვლამდე, გადაახდევინოს მას გირაოს თანხა, რომელიც უდრის მგზავრის და მისი ბარგის უკან ტრანსპორტირების ღირებულებას. მითითებული თანხა მგზავრს უბრუნდება, ასეთი მგზავრის მიღებაზე დანიშნულების ქვეყნის ნებართვის შემთხვევაში.

35. გემზე მოწვევა მკაცრად აკრძალულია, გარდა სპეციალურად ამისთვის გამოყოფილი ადგილებისა. აკრძალულ ადგილას მოწვევის შემთხვევაში, მგზავრი ვალდებულია გადაუხადოს გადამზიდავს ჯარიმა 50 ევროს ექვივალენტის ოდენობით მოწვევის ყოველ ასეთ ფაქტზე. აღნიშნული ჯარიმა გადახდილი უნდა იქნას გემის კაპიტნის მოთხოვნით მგზავრის გემიდან ჩასვლამდე.

#### VIII. გადამზიდავის პასუხისმგებლობა.

36. გადამზიდავი ვალდებულია ტრანსპორტირების დაწყებამდე მოიყვანოს გემი ცურვისა და მგზავრთა უსაფრთხო გადაყვანისთვის ვარგის მდგომარეობაში, წინასწარ სათანადოდ აღჭურვოს იგი და უზრუნველყოს ცურვისთვის საჭირო ყველა საშუალებით, დააკომპლექტოს ეკიპაჟით და შეინარჩუნოს გემი ასეთ მდგომარეობაში მგზავრების საზღვაო ტრანსპორტირების მთელ პერიოდში.

37. გადამზიდავი პასუხისმგებელია მგზავრის გარდაცვალების ან სხეულის დაზიანების, აგრეთვე ბარგის დაკარგვის ან დაზიანების შედეგად მიყენებულ ზიანზე, თუ შემთხვევა, რომლის შედეგადაც იყო მიყენებული ზიანი, მოხდა ტრანსპორტირების დროს და იყო გადამზიდავის, მისი თანამშრომლების ბრალეულობის ან დაუდევრობის შედეგი, რომლებიც მოქმედებდნენ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ფარგლებში.

38. გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი ფულის, ფასიანი ქაღალდების, ძვირფასი ლითონებისა და მისგან დამზადებული ნაკეთობების, ძვირფასეულობის, სამკაულების, ხელოვნების ნიმუშების ან სხვა ფასეულობების დაკარგვასა თუ



დაზიანებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი ძვირფასეულობა შესანახად გადაეცა გადამზიდავს, რომელიც დათანხმდა მათ უსაფრთხოდ შენახვაზე.

39. საერთაშორისო გადაზიდვების შესრულებისას, გადამზიდავის პასუხისმგებლობა მგზავრის გარდაცვალების ან მისთვის სხეულის დაზიანების მიყენების შემთხვევაში, აგრეთვე გადამზიდავის პასუხისმგებლობა კაიუტაში არსებული და სხვა ბარგის დაკარგვის ან დაზიანებისათვის, რეგულირდება 1974 წლის 13 დეკემბერს ათენში ხელმოწერილი მგზავრებისა და მათი ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების შესახებ ათენის კონვენციის დებულებებით და მგზავრებისა და მათი ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების შესახებ 1974 წლის ათენის კონვენციის ოქმით, რომელიც ხელმოწერილია ლონდონში 1976 წლის 19 ნოემბერს.

40. იმ შემთხვევაში, თუ ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება კანონები და კონვენციები, რომლებიც ითვალისწინებს გადამზიდავის პასუხისმგებლობის შეწყვეტის ან გარკვეულ მინიმუმამდე შემცირების შესაძლებლობას, პასუხისმგებლობის ასეთი შეწყვეტა ან შეზღუდვა უნდა ჩაითვალოს სათანადოდ შეთანხმებულად.

41. მგზავრი, რომლის ჯანმრთელობამ ან ქცევამ შეიძლება საფრთხე შეუქმნას სხვა მგზავრების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას და კომფორტს, არ უნდა დაიშვას გემზე. თუ ასეთმა მგზავრებმა, გემზე ასვლისას, არ აცნობეს გადამზიდავს ან არ მიიღეს გადამზიდავის და/ან გემის კაპიტნის წერილობითი თანხმობა, გადამზიდავს და/ან გემის კაპიტანს უფლება აქვთ ჩამოსვან ასეთი მგზავრები შესვლის რომელიმე ნავსადგურში ან გადაიყვანონ გემის სხვა ადგილას, ამასთან ასეთ მგზავრებს არ აქვთ უფლება მოითხოვონ მგზავრობის საფასურის ანაზღაურება.

42. ტრანსპორტირების დროს მგზავრის მოულოდნელი ავადმყოფობის შემთხვევაში, გადამზიდავმა უნდა უზრუნველყოს მგზავრისთვის საჭირო სამედიცინო დახმარება, რაც შეიძლება გაწეულ იქნას გემზე მის ჰოსპიტალიზაციამდე ან მგზავრის ხელისუფლების შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის და/ან მისი ნათესავებისთვის გადაცემამდე.

43. გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი მგზავრის წინაშე გემის დაგვიანების, გამგზავრების ნავსადგურიდან არადროული გასვლის, აგრეთვე დანიშნულების პორტში არადროული ჩასვლის, გემის მარშრუტის შეცვლის ან რეისის ხანგრძლივობის შეცვლის, რეისის გაუქმების ან სხვა დღეს/საათზე გადატანის გამო, თუ ეს მოხდა გადამზიდავისგან დამოკიდებული მიზეზებით.

X. იურისდიქცია.

44. ყველა დავა და უთანხმოება, რაც შეიძლება წარმოიშვას ამ ხელშეკრულებიდან ან მასთან დაკავშირებით, ექვემდებარება სასამართლოში განხილვას გადამზიდავის ადგილსამყოფელის მიხედვით.

**მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის პირობები, რომლის ტრანსპორტირება ხდება მძღოლთან ერთად უკრაინა-საქართველო-უკრაინის მიმართულებით**

1. მგზავრს შეუძლია დაჯავშნოს 8 მ სიგრძის და 5 ტონამდე დაუტვირთავი წონის მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის (მათ შორის ეტლიანი), მოტოროლერის, მოპედის, ველოსიპედის ტრანსპორტირება მძღოლთან ერთად. 8 მეტრზე მეტი სიგრძის და 5 ტონიდან ან მეტი დაუტვირთავი წონის ავტოტრანსპორტის გადაზიდვის დასაჯავშნად საჭიროა დაუკავშირდეთ გადამზიდავს.

2. მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვა ანაზღაურდება როგორც დამატებითი მომსახურება, რისთვისაც მგზავრმა უნდა გადაიხადოს გადამზიდავის მიერ დადგენილი ტარიფი. მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის ანაზღაურება ხორციელდება მგზავრის ტრანსპორტირების ანაზღაურებასთან ერთად.

3. მგზავრი პასუხისმგებელია მიწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, იმ შემთხვევაში:

- თუ მძღოლის თანხლებით მიმავალი მსუბუქი ტრანსპორტის ფაქტიური სიგრძე 5-დან 6 მ-მდეა, ან დაუტვირთავი წონა 2-დან 3 ტონამდეა, ამასთან გადახდა განხორციელდა 5 მ-მდე სიგრძისა და 2 ტონამდე დაუტვირთავი წონის ავტოტრანსპორტის შესაბამისი ტარიფის მიხედვით, მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა მოქმედი ტარიფის შესაბამისად როგორც გემზე ასვლამდე, ასევე სხვა შემთხვევებში.

- თუ მძღოლის თანხლებით მიმავალი მსუბუქი ტრანსპორტის ფაქტიური სიგრძე ტოლია ან აღემატება 8 მ-ს, ან დაუტვირთავი წონა ტოლია ან აღემატება 5 ტონას, გადამზიდავს შეუძლია უარი უთხრას მგზავრს სატრანსპორტო საშუალების გადაყვანაზე ან მგზავრი ვალდებული იქნება გადაიხადოს სხვაობა არსებული ტარიფის შესაბამისად, გემზე ასვლამდე.

- თუ საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გავლისას წარმოიშობა არასწორად მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები, მგზავრს შეიძლება

უარი ეთქვას მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების ტრანსპორტირებაზე. ამასთან მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვისთვის მგზავრის მიერ გადახდილი ფულადი სახსრების ანაზღაურება განხორციელდება ამ წესების მე-5 პუნქტის შესაბამისად (თანხის დაბრუნების პირობები), ხოლო მგზავრის მიერ მგზავრის ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება (თუ მგზავრი უარს ამბობს მგზავრობაზე) განხორციელდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

4. მგზავრი ვალდებულია დაიცვას გემის შესვლის ნავსადგურების ქვეყნებში დადგენილი საპასპორტო, საბაჟო და სხვა ფორმალობები და პასუხისმგებელია ამ ფორმალობების შეუსრულებლობაზე, აგრეთვე მათთვის წარმოდგენილი დოკუმენტების: პასპორტების, სარეგისტრაციო მოწმობების, სადაზღვევო პოლისების, მინდობილობების და სხვა დოკუმენტების სისრულესა და ნამდვილობაზე, რაც საჭიროა ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანოებისთვის მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების ექსპორტის ან იმპორტისთვის, შესვლის პორტებში და/ან დანიშნულების პორტებში. იმ შემთხვევაში, თუ ამ ფორმალობების დაუცველობის გამო, მგზავრის თანხლებით ტრანსპორტირებულ მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებას ეკრძალება:

ა) გამგზავრების ქვეყნიდან გასვლა:

მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვისთვის მგზავრის მიერ გადახდილი ფულადი სახსრების დაბრუნება განხორციელდება ამ წესების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხოლო მგზავრის მიერ მგზავრის ტრანსპორტირებისთვის გადახდილი ფულადი სახსრების დაბრუნება (თუ მგზავრი უარს იტყვის მგზავრობაზე) მოხდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

ბ) დანიშნულების ქვეყანაში შესვლა:

მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს როგორც სატრანსპორტო საშუალების, ისე მგზავრის გემით ტრანსპორტირების საფასური (თუ მგზავრი ახლავს სატრანსპორტო საშუალებას) იმ პორტში, სადაც შესაძლებელია ამ მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების გადმოტვირთვა.

5. დაბრუნების პირობები:

თუ მგზავრი უარს ამბობს ტრანსპორტირებაზე, მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის ღირებულების დაბრუნება ხორციელდება მგზავრებისა და ბარგის

საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების მე-19 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. გადატანის პირობები:

გადაზიდვის თარიღის გადატანა განხორციელდება მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების 21-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ჩანაცვლების პირობები:

მსუბუქი ავტომობილის ჩანაცვლება განხორციელდება მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების 23-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

**მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის პირობები, რომლის ტრანსპორტირება ხდება მძღოლთან ერთად უკრაინა-თურქეთი-უკრაინის მიმართულებით**

1. მგზავრს შეუძლია დაჯავშნოს 7 მ-მდე სიგრძის და 3 ტონამდე დაუტვირთავი წონის მსუბუქი ავტომობილის, მოტოციკლის (მათ შორის ეტლიანი), მოტოროლერის, მოპედის, ველოსიპედის ტრანსპორტირება მძღოლთან ერთად. 7 მეტრზე მეტი სიგრძის და 3 ტონიდან ან მეტი დაუტვირთავი წონის ავტოტრანსპორტის გადაზიდვის დასაჯავშნად საჭიროა დაუკავშირდეთ გადამზიდავს.

2. მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვა ანაზღაურდება როგორც დამატებითი მომსახურება, რისთვისაც მგზავრმა უნდა გადაიხადოს გადამზიდავის მიერ დადგენილი ტარიფი. მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის ანაზღაურება ხორციელდება მგზავრის ტრანსპორტირების ანაზღაურებასთან ერთად.

3. მგზავრი პასუხისმგებელია მოწოდებული ინფორმაციის სისწორეზე, იმ შემთხვევაში:

- თუ მძღოლის თანხლებით მიმავალი მსუბუქი ტრანსპორტის ფაქტიური სიგრძე 5-დან 7 მ-მდეა, ან დაუტვირთავი წონა 2-დან 3 ტონამდეა, ამასთან გადახდა განხორციელდა 5 მ-მდე სიგრძისა და 2 ტონამდე დაუტვირთავი წონის ავტოტრანსპორტის შესაბამისი ტარიფის მიხედვით, მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა მოქმედი ტარიფის შესაბამისად გემზე ასვლამდე.

- თუ მძღოლის თანხლებით მიმავალი მსუბუქი ტრანსპორტის ფაქტიური სიგრძე ტოლია ან აღემატება 7 მ-ს, ან დაუტვირთავი წონა ტოლია ან აღემატება 3 ტონას, გადამზიდავს შეუძლია უარი უთხრას მგზავრს სატრანსპორტო საშუალების

გადაყვანაზე ან მგზავრი ვალდებული იქნება გადაიხადოს სხვაობა არსებული ტარიფის შესაბამისად, გემზე ასვლამდე.

- თუ საბაჟო და სასაზღვრო კონტროლის გავლისას წარმოიშობა არასწორად მითითებულ ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემები, მგზავრს შეიძლება უარი ეთქვას მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების გადაზიდვაზე. ამასთან მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვისთვის მგზავრის მიერ გადახდილი ფულადი სახსრების ანაზღაურება განხორციელდება ამ წესების მე-5 პუნქტის შესაბამისად (თანხის დაბრუნების პირობები), ხოლო მგზავრის მიერ მგზავრის ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება (თუ მგზავრი უარს ამბობს მგზავრობაზე) განხორციელდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

4. მგზავრი ვალდებულია დაიცვას გემის შესვლის ნავსადგურების ქვეყნებში დადგენილი საპასპორტო, საბაჟო და სხვა ფორმალობები და პასუხისმგებელია ამ ფორმალობების შეუსრულებლობაზე, აგრეთვე მათთვის წარმოდგენილი დოკუმენტების: პასპორტების, სარეგისტრაციო მოწმობების, სადაზღვევო პოლისების, მინდობილობების და სხვა დოკუმენტების სისრულესა და ნამდვილობაზე, რაც საჭიროა ხელისუფლების მაკონტროლებელი ორგანოებისთვის მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების ექსპორტის ან იმპორტისთვის, შესვლის პორტებში და/ან დანიშნულების პორტებში. იმ შემთხვევაში, თუ ამ ფორმალობების დაუცველობის გამო, მგზავრის თანხლებით ტრანსპორტირებულ მსუბუქ სატრანსპორტო საშუალებას ეკრძალება:

ა) გამგზავრების ქვეყნიდან გასვლა:

მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვისთვის მგზავრის მიერ გადახდილი ფულადი სახსრების დაბრუნება განხორციელდება ამ წესების მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხოლო მგზავრის მიერ მგზავრის ტრანსპორტირებისთვის გადახდილი ფულადი სახსრების დაბრუნება (თუ მგზავრი უარს იტყვის მგზავრობაზე) მოხდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

ბ) დანიშნულების ქვეყანაში შესვლა: მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს როგორც სატრანსპორტო საშუალების, ისე მგზავრის გემით ტრანსპორტირების საფასური (თუ მგზავრი ახლავს სატრანსპორტო საშუალებას) იმ პორტში, სადაც შესაძლებელია ამ მსუბუქი სატრანსპორტო საშუალების გადმოტვირთვა.

5. დაბრუნების პირობები:

თუ მგზავრი უარს ამბობს ტრანსპორტირებაზე, მსუბუქი ავტოტრანსპორტის გადაზიდვის ღირებულების დაბრუნება ხორციელდება მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების მე-19 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

6. გადატანის პირობები: გადაზიდვის თარიღის გადატანა განხორციელდება მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების 21-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

7. ჩანაცვლების პირობები: მსუბუქი ავტომობილის ჩანაცვლება განხორციელდება მგზავრებისა და ბარგის საზღვაო ტრანსპორტირების ხელშეკრულების პირობების 23-ე პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### **შინაური ცხოველების ტრანსპორტირების პირობები**

1. შინაური ცხოველებით მგზავრების გადაყვანა დასაშვებია მხოლოდ ამისთვის სპეციალურად განკუთვნილ კაიუტებში: თბომავალზე Greifswald NoNo 383, 384, 385; თბომავალზე Kaunas NoNo 8107, 8111; თბომავალზე Vilnius No 449. ალტერნატიულად, მგზავრს შეუძლია შეიძინოს ნებისმიერი სხვა კაიუტის ბილეთი, მაგრამ ამ შემთხვევაში შინაური ცხოველის ტრანსპორტირება მოხდება გალიით, რომელიც თან უნდა იქონიოს მგზავრმა, კაიუტის გარეთ, გემის სატვირთო გემბანზე, გემის ადმინისტრაციის მიერ მითითებულ უსაფრთხო ადგილას.

2. ცხოველების მფლობელების მგზავრობა ანაზღაურდება მგზავრების ტრანსპორტირების ტარიფების შესაბამისად, ამასთან მგზავრი, რომელსაც გადაჰყავს ცხოველი, ვალდებულია შეიძინოს მთელი კაიუტის ბილეთები.

3. შინაური ცხოველების ტრანსპორტირება ანაზღაურდება როგორც დამატებითი მომსახურება, რისთვისაც მგზავრმა უნდა გადაიხადოს გადამზიდვის მიერ დადგენილი ტარიფი. ამასთან შინაური ცხოველის ტარიფით ტრანსპორტირების ერთეულად ითვლება:

- ფრინველებისა და მღრღნელებისათვის: გალიაში 3 ცალამდე, იმ პირობით, რომ გალია 0,5 კუბურ მეტრამდეა;
- კატებისთვის, ძაღლებისთვის და ა.შ. თითოეული შინაური ცხოველისთვის ცალკე.

4. გადამზიდავი ახორციელებს შინაური ცხოველების ტრანსპორტირებას, რომლებიც არ წარმოადგენენ პოტენციურ საფრთხეს მგზავრების, ეკიპაჟისათვის და გავლენას არ ახდენენ რეისის უსაფრთხოებაზე.

5. ცხოველები სათანადოდ უნდა იყვნენ მოთავსებულნი დახურული ძირის მქონე კონტეინერებში / გალიებში და ჰქონდეთ მოქმედი მოწმობები ვაქცინაციისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (რომელთა გაფორმებაც შესაძლებელია ვეტერინარულ კლინიკაში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით), დანიშნულების ქვეყანაში შესვლის ან ტრანზიტის ნებართვა. ცხოველები უნდა იყვნენ სუფთა, მოწესრიგებული და არ ჰქონდეთ უსიამოვნო სუნი. თუ შინაური ცხოველი იწონის 20 კგ-ს და უფრო მეტს, მაშინ მისი მგზავრობა შესაძლებელია სპეციალური კონტეინერის გარეშე, მაგრამ ეს წესი მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მგზავრმა ასეთი შინაური ცხოველის ტრანსპორტირებისთვის იყიდა კაიუტა სპეციალური საფარით.

6. მგზავრის მიერ ამ წესების მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, გადამზიდავს უფლება აქვს მგზავრის რეგისტრაციისას, თავისი შეხედულებისამებრ, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ცხოველების ტრანსპორტირების ან ტრანსპორტარებაზე უარის შესახებ. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ გადამზიდავი გადაწყვეტს უარი თქვას ცხოველის ტრანსპორტარებაზე, ცხოველის, ისევე როგორც მგზავრის ტრანსპორტირების ფულადი სახსრების დაბრუნება (თუ მგზავრი უარს იტყვის გამგზავრებაზე), განხორციელდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

7. მგზავრი შინაური ცხოველებით ვალდებულია უზრუნველყოს სისუფთავე და გემის ქონების სრული უსაფრთხოება, აგრეთვე დამოუკიდებლად უზრუნველყოს ცხოველების კვება და მოვლა იმგვარად, რომ ეს არ არღვევდეს სხვა მგზავრების კომფორტსა და სანიტარული-ჰიგიენურ პირობებს გემზე. მგზავრებმა შინაური ცხოველებით დამოუკიდებლად და საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყონ მთელი რეისის განმავლობაში ცხოველის ტრანსპორტირებისთვის საჭირო საკვები და ერთჯერადი ჰიგიენის საშუალებების კომპლექტი.

8. შინაური ცხოველების ტრანსპორტირებისას მგზავრი სრულად აგებს პასუხს თავის შინაურ ცხოველებზე, აგრეთვე გამომგზავრებისა და შესვლის ქვეყნის მოქმედი კანონებითა და წესებით გათვალისწინებული აუცილებელი მოწმობის, ნებართვის, ცნობების და ა.შ. წარდგენაზე. გადამზიდავი არ არის პასუხისმგებელი ამგვარი ცხოველების ტრავმებზე, დაკარგვაზე, შეფერხებაზე, ავადმყოფობაზე ან სიკვდილზე დანიშნულების ან ტრანზიტის ქვეყანაში მათ შეყვანაზე უარის შემთხვევაში, თუ ასეთი ზიანი არ იყო მიყენებული გადამზიდავის დაუდევრობის შედეგად.

9. იმ შემთხვევაში, თუ ამ ფორმალობების დაუცველობის გამო, მგზავრის თანხლებით მიმავალ ცხოველს აკრძალება:

ა) გამომგზავრების ქვეყნიდან გამგზავრება: მგზავრის მიერ ცხოველის ტრანსპორტირებისთვის, აგრეთვე მგზავრის მგზავრობისთვის გადახდილი თანხის დაბრუნება (თუ მგზავრი უარს იტყვის გამგზავრებაზე) განხორციელდება ბილეთის ღირებულების დაბრუნების მოქმედი პირობების შესაბამისად.

ბ) დანიშნულების ქვეყანაში შესვლა: მგზავრი ვალდებულია გადაიხადოს როგორც ცხოველის, ისე გემზე მგზავრის ტრანსპორტირების საფასური იმ პორტში, სადაც შესაძლებელია როგორც მგზავრის, ისე ცხოველის ჩამოსმა.

10. მგზავრი, რომელიც ასრულებს რეისს შინაურ ცხოველებთან ერთად, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წესებს:

- შინაური ცხოველი გემზე უნდა იმყოფებოდეს მხოლოდ ალიკაპით, გარდა იმ ცხოველებისა, რომლებსაც არ შეუძლიათ კბენა ან გემის ქონების დაზიანება.

- აკრძალულია შინაური ცხოველების განთავსება საწოლზე, სავარძლებზე, სკამებსა და სხვა ავეჯზე.

- აკრძალულია შინაური ცხოველების ბუნებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად კაიუტის სანტექნიკური მოწყობილობების: პირსაბანის და საშხაპე კაბინის გამოყენება.

- აკრძალულია შინაური ცხოველებისთვის თეთრეულისა და პირსახოცების გამოყენება.

- აკრძალულია შინაური ცხოველების გასეირნება გემის სამგზავრო შენობის შიგნით.

- აკრძალულია შინაური ცხოველების კვება უშუალოდ საფარზე კაიუტებში, საკვები უნდა იყოს სპეციალურ ლანგარზე, ამასთან დაუშვებელია კაიუტების საფარისა და გემის სხვა სათავსების დაზიანება.

- ღია გემბანზე შინაური ცხოველების გასეირნება ნებადართულია მხოლოდ ამისთვის სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში, რომლებიც აღნიშნულია შესაბამისი მიმანიშნებლებით, ანდა გემის ადმინისტრაციის მიერ.

- მგზავრი ვალდებულია თვითონ დაალაგოს შინაური ცხოველის ადგილსამყოფელი. იმ შემთხვევაში, თუ კაიუტაში ან გემის სხვა ადგილებში აღმოჩენილი იქნება შინაური ცხოველის ცხოველქმედების კვალი ან ექსკრემენტის სპეციფიური სუნი - ეს ფაქტი ჩაითვლება გემისთვის ზიანის მიყენებად.



ზემოაღნიშნული წესების დარღვევის შემთხვევაში, რის შედეგადაც ადგილი ჰქონდა გემის ქონების დაზიანებას ან გემის ცხოველის ცხოველქმედების ნარჩენებით დაბინძურებას, მგზავრს ეკისრება ჯარიმა 100 აშშ დოლარის ოდენობით. მგზავრი ვალდებულია ტრანსპორტირების დროს დაიცვას სიჩუმის რეჟიმი შინაური ცხოველის მხრიდან. ამ მოთხოვნის სისტემატურად დარღვევის შემთხვევაში, მგზავრი შეიძლება დაჯარიმდეს გემზე მყოფი ცხოველის მგზავრობის ღირებულების ორმაგი ოდენობით. საჯარიმო სანქციების გადახდევინება ხორციელდება გემის ადმინისტრაციის მიერ მგზავრის თანდასწრებით შედგენილი აქტის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ მგზავრმა უარი თქვა აქტის ხელმოწერაზე, გემის ადმინისტრაციის მიერ ხელმოწერილი აქტი ითვლება მგზავრისთვის საჯარიმო სანქციების გადახდევინების საკმარის საფუძველად.

11. მგზავრი, რომელიც მგზავრობს შინაურ ცხოველებთან ერთად, გემზე ასვლისას ვალდებულია გადაიხადოს გირაო 100 აშშ დოლარის ოდენობით, როგორც გემის ქონების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და გემით შინაური ცხოველების გადაყვანის ამ წესების დაცვა. ეს გირაო მგზავრს უბრუნდება დანიშნულების ნავსადგურში გემიდან გადმოსვლისას, თუ შინაური ცხოველის ტრანსპორტირებისას ადგილი არ ჰქონდა გემის ქონების დაზიანებას და გემით შინაური ცხოველების გადაყვანის წესების დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა გემის ქონების დაზიანებას ან ამ წესების დარღვევას, რაც დასტურდება გემის ადმინისტრაციის მიერ შედგენილი შესაბამისი აქტით - გირაო არ დაბრუნდება. თუ ამასთან გირაოს თანხა სრულად არ ფარავს გემთმფლობელისათვის შინაური ცხოველის ტრანსპორტირებისას მიყენებული ზიანის ოდენობას, გემთმფლობელს უფლება აქვს მგზავრისგან მოითხოვოს მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება მგზავრის მიერ შეტანილ გიროზე მეტი თანხით.